საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

აჭარის რეგიონის კურორტების განსაკუთრებულობა და პოტენციალი

ხელმძღვანელი: პროფესორი მედეა მელქაძე

დოქტორანტი: მარიამ ღომიძე

თბილისი, 2017 წელი

აქტუალობა.ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საქართველო კი თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, ისტორიითა და არქიტექტურით მიმზიდველია ამ ასექტით, ამიტომაც, აჭარის რეგიონი, როგორც შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი აქტიური საკურორტო ზონა, თავისი ყველა პრობლემითა და მათ გადაწყვეტის მეთოდოლოგიით აქტუალურია.
მიზანი: ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენი განხილვის საგანია, საქართველოს ულამაზესი კუთხის - აჭარის მიმოხილვის კონტექსტში განვიხილოთ ბათუმი, გონიოს ციხე და მტირალას ეროვნული პარკი. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმი საქართველოს შავი ზღვისპირეთის რეგიონში თანამედროვე აქტექტუტრული მიღწევების დისლოკაციის ადგილს წარმოადენს. გონიოს ციხე საინტერესოა, როგორც ისტორიული აქცენტი, ხოლო მტირალას ეროვნული პარკი კი აჭარის მრავალფეროვანი ბუნების ერთ-ერთი ნაწილი.
ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსი.აჭარა საქართველოსსამხრეთ-დასავლეთნაწილში. მისიფართობი 2,9 ათასიკვ. კმ-ია. ხასიათდებართულირელიეფით,აქერთმანეთთანჰარმონიაშიაზღვისპირეთიდამთა თასისტემები.
აჭარისრეგიონშიმოხვედრილადამიანსშეუძლიადატკბესზღვითადამთით, ტბებითადაჩანჩქერებით, მდინარეებითადამათიხეობებით. რეგიონი მდიდარია მრავალფეროვანი მცენარეთა საფარით: 1. დაბლობისა და დაბალი მთების; 2. მთების შუა სარტყლის 3. სუბალპური ტანბრეცილი ბუჩქნარი 4. ალპური მდელოები.
აჭარის რეგიონი მრავალმხრივ საინტერესოა ტურისტებისთვის. 1. ისტორიული ციხე-სიმაგრეები: ხიხანის, კავიანი, გონიოს და სხვა. 2. რეგიონისთვის დამახასიათებელი ხალხური არქიტექტურა. 3. ქ. ბათუმის ისტორიული და თანამედროვე არქიტექტურული ობიექტები. 4. უნიკალური ბუნება, რომელიც დაცულია ნაკრძალებსა და ერვნულ პარკებში, მაგალითად: მტირალას ეროვნული პარკი, კინტრიშის დავული ტერიტორიები, მაჭახელას ეროვნული პარკი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და სხვა. მათგან, ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი იქნება: 1. ბათუმი, როგორც რეგიონის ცენტრი; 2. გონიოს ციხე - ისტორიული ძეგლი; 3. მტირალას ეროვნული პარკი - ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი ნიმუში.
ბათუმისშესახებპირველიცნობებიძვ.წთ-ისმე-4
ისბერძენიფილოსოფოსისარისტოტელესნაშრომებშიგვხვდება. იგიმას კოლხეთის შავიზღვისსანაპიროზემდებარექალაქ ,,ბათუსის" სახელითმოიხსენიებს. ამავესახელითიცნობდნენქალაქსრომაელიმწერალიპლინიუსუფროსიდაბერძენიგეოგრაფიფლავიუსარიანე. ,,ბათუსი" ბერძნულისიტყვაადაღრმასნიშნავს. მართლაც, ბათუმსშავზღვაზესევასტოპოლისშემდეგყველაზეღრმადამოხერხებულიპორტიაქვს.
ქალაქი გაშენებულია ღრმა, კარგად დაცულ ბუნებრივ ნავსაყუდელ - ბათუმის ყურეში.მისი ფართობი 1937 ჰა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი, როგორც რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი და ქალაქი 1878 წლიდანაა.
ბათუმში, ისევე როგორც ზოგადად აჭარასა და სრულიად საქართველოში, ისტორიულად არსებობს კულტურული, აღმსარებლობითი და სოციალური ტოლერანტობა. ამიტომ მასში ჰარმონიულად თანაარსებობს სინაგოგა, მეჩეთი, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები. ბათუმის კვარტლები ადრეული პერიოდიდანვე დასახლებული იყო სხვადასხვა ერის წარმომადგენლებით.

ბათუმს აქვს რეგულარული გეგმარებითი სტურუქტურა, ძველ ბათუმში კვარტლები დაახლოებით 60-100 მ-ზე არის. ქალაქის ხელსაყრელი მდებარეობა, ქუჩათა ქსელის გაბარიტები და ორიენტაცია ხელსაყრელ საცხოვრებლელ პირობებს ქმნის. გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქი მოქცეულია ზღვასა და შავშეთი-არსიანის ქედებს შორის, მის ტერიტორიაზე მოძრაობს როგორც ზღვის ბრიზი, ისე მთებზე შექმნილი ინვერსიული ჰაერის ნაკადები. ძველი გეგმარებიდან გამომდინარე, ქუჩათა ქსელი და მისი დაბალი განაშენიანება ორივე ჰაერის ნაკადს გამჭოლოლად ატარებდა, რაც უზრუნველყოფდა საცხოვრებელი კვარტლების განიავებას.

ბათუმის მთავარი ღირსება ან ხიბლი არა მხოლოდ ცალკეულ შენობა-ნაგებობეშია, არამედ დროის შედარებით მოკლე პერიოდში ჩამოყალიბებულ ერთიან ურბანულ ქსოვილში. იგი ქმნის ადამიანური მასშტაბისთვის მისაღებ კომფორტულ, მშვიდ და გაწონასწორებულ გარემოს. მისთვის უცხო იყო პომპეზურობა, დეკორატიულობა, რაც ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა.

ბოლო 15 წელიწადია, რაც ქალაქში მომრავლდა ახალი, ბათუმთვის არატრადიციული სტისილისა და ზომის შენობები. თანამედროვე შენობების ფასადებიშუშისაა, რაც ზრდის როგორც სითბურ, ისე რადიაციულ გამოსხივებას. პრობლემაა, რომ ქალაქში იერ-სახის ცვლილება, მაღლივი შენობების სახით,ისტორიული კვარტალებიდან დაიწყო. დაინგრა ან გადაკეთდა ძველი შენობები, სანაპირო ზოლის გასწვრივ კი მიჯრით შენდება მრავალსართულიანი მრავალფუნქციური ობიექტები. შენობებმა დაიკავეს მწვანე საფარის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ბათუმის მთავარი გამწვანებული ზონა სანაპირო ზოლი და ე.წ. ბულვარია. ბულვარი ამ ქალაქისთვის სიახლეს როდი წარმოადგენს, მისი გაშენება 1881 წლიდან დაიწყო, ხოლო 1987 წლიდან ლანდშაფტური ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ბულვარისთვის საფრთხეს წარმოადგენს დიდი ინტერესი ინვესტორების მხრიდან, რადგან ის არის ქალაქის ყველაზე პოპულარული ადგილი, ბუნებრივია მშენებლობის სურვილიც დიდია ამ ტერიტორიაზე. დღეისათვის ბულვარის სიგრძე 7კმ-ს აღწევს და მთლიანად ეკვრის ბათუმს. ამიტომაც, მისი მწვანე საფარის შენარჩუნება და გამრავალფეროვნება, ტერიტორიაზე მშენებლობის ინტერესების აკრძალვა უნდა იქცეს ბათუმის სამომავლო ქალაქმშეებლობითი პოლიტიკის პრიორიტეტად.არამარტო ბულვარის, არამედ მთლიანად ქალაქის ტერიტორიაზე უნდა შეწყდეს მშენებლობა მწვანე საფარის განადგურების ხარჯზე, რათა შენარჩუნდეს ადამიანის ცხოვრებისთვის ჯანსაღი გარემო.

ბათუმის, და ზოგადად აჭარის ხიბლი მის მრავალფეროვნებაშია. ტურისტს მცირე დროის მონაკვეთში შეუძლია მოხვდეს ზღვაზე, მთიანეთსა და მდინარეთა ხეობებში. ამ ეტაპზე აჭარაში საზღვაო ტურიზმია წინა პლანზე წამოწეული და მეტი წილი ყურადღებაც სწორედ მას ეთმობა.საჭიროა, მის პარალელურად განვითარდეს, ეკო, აგრო და სხვა სახის ტურიზმი.

ბათუმის ისტორიული მნიშვნელობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძეგლი გონიოს ციხეა. იგიშავი ზღვის ნაპირას, მდინარე ჭოროხის შესართავთან მდებარეობს.უძველესი ცნობა მის შესახებ ეკუთვნის რომაელ ავტორ პლინიუს სეკუნდუსს (ახ. წ. I ს.). ბერძნულ-რომაულ წყაროებში ცნობილია აფსარუნტის სახელით. გონიოს ციხე XII საუკუნის შემდგომი დროინდელი სახელწოდებაა II საუკუნეში აქ რომაელთა ხუთი კოჰორტა იდგა. ამ პერიოდში იგი კარგად

გამაგრებული და კეთილმოწყობილი (იპოდრომი და სხვა ნაგებობანი) ციხე-ქალაქი ყოფილა. საუკუნეების მანილზე ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია და იტალიის ქალაქ-რესპუბლიკები (გენუა და სხვა) დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრისადმი. 1547 წელს გონიოს ციხე ოსმალებმა დაიკავეს და მათ მფლობელობაში იყო 1878 წლამდე. იგი რუსეთ-თურქეთის ომის შემდებ, სან-სტეფანოს ზავით აჭარასთან ერთად რუსეთის იმპერიას გადაეცა.

გონიოს ციხე გეგმარებით სწორკუთხედია (195 × 245 მ). იგი ქვითაა ნაგები და შეინიშნება რამდენიმე სამშენებლო ფენა. გონიო-აფსაროსის ციხეს უნიკალური სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: ის იცავდა ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობების შემოსასვლელებს, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებს აკავშირებდა შავი ზღვის სანაპიროსთან.საქართველოშიქრისტიანობისქადაგებასწორედამრეგიონიდანდაიწყო, გადმოცემისთანახმადკიქრისტესერთ-ერთიმოციქულის - მატათასსაფლავიისტორიულგონიოსციხეშია.

დღეისათვის მის ტერიტორიაზე კი მუზეუმია განათავსებული, სადაც წარმოდგენილია არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი არტეფაქტები.

უკვე აღვნიშნეთ, რომ აჭარის რეგიონი გამოირჩევა თავისი ბიომრავალფეროვნებით, ამიტომ აქ ჩვენ ვასრულებთ საუბარს ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურაზე და გადავდივართ, დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ კი ვისაუბრებთ ჯერ კიდევ არც ისე ფართო მასშტაბებისათვის ნაცნობ მტირალას ეროვნულ პარკზე.

მტირალას ეროვნული პარკი მცირე კავკასიონის, სახელდობრ, აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე მდებარეობს. იგი 16 000 ჰექტარზეა განფენილი და კარგად შემონახულ ტყისა და ბუჩქნარის ეკოსისტემებს მოიცავს.

პარკის განსაკუთრებით მკაცრი დაცვის ზონა მოიცავს კოლხური ტყით დაფარულ ტერიტორიას, რომელიც უნიკალური მერქნიანი მცენარეულობითაა წარმოდგენილი.პარკისტერიტორიათითქმისმთლიანადტყითადაბუჩნარითაადაფარული. აქწარმოდგენილიააჭარისთვისდამახასიათებელიკოლხურიფლორა და ფაუნა, მათი გადაშენების პირას მყოფი სახეობებით. ჰავის ცვლილებებისგამო, დედამიწაზე მრავალიტროპიკულისახეობაგადაშენდა, ხოლოშემორჩენილისახეობებისათვის ბუნებრივად შეიქმნაკოლხურირეფუგიუმი.წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს კოლხური ტყე, რომელიც ზღვის დონიდან 15-25 მ-დან / 1000- 1200 მ-ის სიმაღლემდე ვრცელდება.

მტირალას ეროვნული პარკში 1 ჰა-ზე 35-მდე განსაკუთრებული მერქნიანი სახეობის დაჯგუფება - "შქერიანი" გვხვდება, რომელსაც დედამიწის ზომიერი სარტყლის პირობებში სხვაგან ვერსად შეხვდებით.

აგრეთვე, პარკის ტერიტორიაზე ძირითადი ჰიდრორესურსებია: მდინარეები ჩაქვისწყალი და ყოროლისწყალი, ასევე აჭარისწყლის შენაკადები, რომლებიც ულამაზეს ხეობებში მიედინებიან და ჩანჩქერებს ქმნიან. ტერიტორიაზე მრავლადაა მინერალურიდა მტკნარი წყაროები, რომლებიც სამკურნალო თვისებებითაა გამორჩეული.

მტირალასეროვნულიპარკში წითელ ნუსხაში შეყვანილი სხვადასხვა სახეობის ცხოველი ბინადრობს.

დასკვნა და რეკომენდაციები.ზემოთ მოყვანილი მაგალითები, ადასტურებს, რომ აჭარა, როგორც საქართველოს შავი ზღვისპირეთის მხარე, საინტერესოა არა მხოლოდ, ქალაქ ბათუმით, როგორც საზღვაო საკურორტო ზონით, არამედ მისი მიმდებარე ისტორიული და მთიანი არეალით. აქედან გამომდინარე, აჭარის რეგიონი, კერძოდ ბათუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია -ისტორიული და დაცული ტერიტორიების სახით, მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისთვის.
არასწორი პოლიტიკის შედეგია, რომ ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მშენებლობებმა ქალაქს დაუკარგავს ავტენტური იერ-სახე.
რეკომენდაციის სახით ვაყალიბებთ, რომ:
1. ბათუმი, თავისი სანაპირო ზოლითა და საინტერესო ისტორიული ნაწილით, უნდა იყოს დაცულითანამედროვე არქიტექტურის გაუაზრებელი ექსპანსიისგან.
2. საჭიროა ჩამოყალიბდეს სისტემური სტრატეგიული გეგმა თანამედროვე მენეჯმენტის საფუძველზე.
3.უნდა გამოცხადდეს არქიტექტურული კონკურსი ქალაქისა და რეგიონის განვითარების კონცეფციაზე.
3. კონკურსის საფუძველზე შემუშავდეს ქ. ბათუმის გენ-გეგმა.
4. შემუშავდეს და გახდეს ხელმისაწვდომი ქალაქის, ასევე მასთან ახლოს მდებარე ისტორიული და დაცული ტერიტორიების სრულყოფილი ინფორმაცია.
5. შეიქმნას დეტალური რუკები ტურისტული ბილიკების მონიშვნით.

ბიბლიოგრაფია:

1. გონიოს ციხე. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ III თბ., 1978. გვ. 218
2. http://batumisistoria3.blogspot.com/2008/11/blog-post.html
3.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98
4.http://boulevard.ge/ge/things-to-see/historical-monuments
5. http://ge.blackseasilkroad.com/ge/wiki/Gonio/673/789
6.http://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/mtiralas-erovnuli-parkis-administracia/kolxetis-erovnuli-parkis-damatebiti-girsshesanishnaobani/kintrishis-daculi-teritoriebis-damatebiti-girsshesanishnaobani
7.http://apa.gov.ge/ge/biomravalferovneba/mtiralas-erovnuli-parkis-biomravalferovneba